№ 16
კვირა, 20 იანვარი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
32
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 16
კვირა, 20 იანვარი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნიკოლოზ. ქ. ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ**).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სამსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (**исправленіе дурного почерка**).

სწავლა დაიწყება 25 იანვრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 10 იანვრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ 12-მდე, კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩა, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა**, № 9,

პროგრამები და წესები კურსებისა **უსასყიდლოდ** შეიძლება გაეგზავნოს და მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს: **ს. ზ. მანუელიანც**, ტფილისი. (4—262—1)

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი
კვირას, 20 იანვარს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ქეთო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით
დაკლებულის ფასებით
ცნობილი პიესა

I

დამნაშავეა?

დრამა სამ მოქმედ. გადმოთარგ. ნიკიტინისა

II

კინტო

კომედია 3 მოქმედ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება დ. აწყურელის საბენეფისოდ **„დასჯილი“** და **„საგიჟეთში“**.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს პრაქტიკულად შეისწავლოს სამთო ხელოვნება ამ 1902 წელს უფასო კურსებზედ სოფ. ჭიათურაში, წერილობითი თხოვნა უნდა შემოიტანოს ამ წლის **პირველ თებერვლამდის** კურსების გამგის ინჟენერს ვ. ა. **მარკოვსკის** სახელობაზედ, სოფ. ჭიათურაში და თან დაურთოს საჭირო ვინაობის დოკუმენტები.

კურსებზედ შემსვლელთ მოეთხოვებათ რუსულის ენისა და წერა-კითხვის წესიერი ცოდნა. კურსებზედ მიიღებიან 20 წლისაზედ არანაკლებნი. ამასთანავე უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც მუშაობის გამგენი ან მოსამსახურენი არიან შორაპნის შავი-ქვის მრეწველობაში.

(3—ნ.—1).

გაიმართა

გამოფენა მხატვ. გ. ი. გაბაშვილის სურათებისა და ეტიუდებისა

სამხედრო-საისტორიო მუზეუმში.

ნახვა შეიძლება დილის 10-დგან 4 საათამდის. **ფასი შესვლისა 20 კაპ.**, მოწაფეთა და ჯარის-კაცთათვის 10 **კაპ.**

(5—5)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-თერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

ზ. ზ. მალალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

ზ. ზ. მალალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე ბძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.
ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—22).

ახალი ამბავი

⁂ რადგანაც თავისს დროზედ ვერ სდგებოდა ხოლმე სრული ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის თვით-მმართველობის შემოსავალ-გასავლისა და ხშირად იგვიანებდა, ამის გამო, ქალაქის მოურავის მოადგილის შესტაკოვის მოხსენებით, გუშინ-წინ 18 იანვარს ქალაქის თვით-მმართველობის გამგეობამ დაადგინა შემდეგი: 1) ყველა განყოფილებამ მთავარს, საბუჰგალტეროს უნდა წარუდგინონ თავიანთი აღრიცხვა შემოსავლისა არა უგვიანეს 1 ივნისისა, ხოლო გასავალი 1 ივლისისა; 2) ყველა ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც კერძო, ისე საერთო, უნდა წარადგინონ მთავარს საბუჰგალტეროში არა უგვიანეს 1 მაისისა; 3) შემოსავალ-გასავლის დაყოფა ჯგუფებად, მასალის მიხედვით, და საბოლოოდ მისი შემუშავება გამგეობის წევრის ჩვენებისამებრ საქმის მწარმოებლის მოვალეობაა; 4) მოულოდნელი რამ ხარჯი ან მომატება ჯამაგირისა რომელისამე მოსამსახურისა და სხვა ამ გვარი ხარჯთ-აღრიცხვები უნდა შესდგეს ცალკე, აღმასრულებელ ხარჯთ-აღრიცხვამდე; 5) წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვანი გასავლისა ქალაქის გამგეობამ უნდა განიხილოს ერთად. ხოლო შემოსავლისა შეიძლება ცალკ-ცალკე.

⁂ ის ათასი თუმანი, რომელიც შესწირეს 1 ივნისს 1881 წელს ანტონ სოლომონის ძე ყორღანოვმა (გარდაიცვალა ამ დღეებში), ძმ. ფითოევებმა და ა. ფ. ფრიდონოვმა ქალაქის გამგეობას იმ პირობით, რომ მისი სარგებლით ორი სტიპენდია დაინიშნოს მომავალ კავკასიის უნივერსიტეტში, დღეს სარგებლით გაზრდილა 2 ათას თუმნამდე.

⁂ ამ დღეებში, ისეც დაზარალებულ წარსულ გამოფენის კომიტეტს, პოლიცმეისტერი სთხოვს გამოფენისათვის დაქირავებულ 14 პოლიციის მოხელეთა ნოემბრისა და ქრისტიშობისთვის ჯამაგირს, სამოც და ათს თუმანს. თხოვნას განიხილავს გამოფენის კომიტეტი.

⁂ ქალაქის გამგეობა ამზადებს ჯარში გასაწვევ სიებს იმ ახალგაზრდებისას, რომელთაც წრეულს შემოდგომაზედ უნდა ამოიღონ კენჭი სამხედრო ბეგრის გადასახდელად. სიებს გამოაცხადებენ აპრილში.

⁂ საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების წინამძღვართა კრებას, მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსის თავმჯდომარეობით, იანვრის 17-ს გარდაუწყვეტია დავითის მონასტრის (ავლაბარში) გალავანშიააშენონ განსაკუთრებული სახლი იმ ბერების სადგომად, რომელნიც სამსახურის საქმეების გამო ტფილისში ჩამოდიან რამდენისამე დღით. დღემდის ბერები სასტუმროებში უნდა ჩამომხდარიყვნენ ბინად.

⁂ იანვრის 17 ქალაქის სასკოლო საქმეების გამგე კომისიამ განიხილა ინჟენერის ა. ს. ბაბოვის ესკიზი-პროექტი ქალაქის ორის სასწავლებლისათვის ერთის შენობის ასაგებად, მოიწონა იგი და დაადგინა ეთხოვოს ქალაქის გამგეობას აირჩიოს ადგილი ამ შენობისათვის. გამგეობისაგან ადგილის ამორჩევის შემდეგ ბაბოვის პროექტი გადაეცემა გამგეობის საამშენებლო განყოფილებას ხარჯთ აღრიცხვის შესადგენად. ბაბოვს თავის პროექტის შედგენის დროს ნაგულისხმევი ჰქონია ქალაქის მიწა მე-IX საპოლიციო უბანში. ამ პროექტის ხარჯთ-აღრიცხვით განზრახულს შენობას მოუნდება 40,000-მდე მანეთი.

⁂ იანვრის 22-ს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, დანიშნულია საერთო კრება ტფილისის ხელოსანთა. კრებამ უნდა შეადგინოს ამ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და გააწეროს ხელოსნებს ხვედრი გარდასახადი. კრებაზე დასასწრებლად მთავრობა დანიშნავს განსაკუთრებულს მოხელეს.

⁂ საქართველოს ექსარხოსს ალექსისა სიმანეთი შეუწირავს სასულიერო განათლების ძმობისათვის.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში უთხოვნია, რომ რამდენიმე მისი ხელქვეითი აგრონომი გაგზავნილ იქმნეს საზღვარ-გარეთ სასოფლო მეურნეობის ზოგიერთა დარგის სპეციალურად შესასწავლად.

⁂ ტფილისის გაზეთებს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად იხილავს საექიმო თვალყურის მგდებელ სადგურების დაარსების საქმეს ბათომსა, ფოთსა და ბაქოში. შენობების ასაგებად საჭირო გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მინდობილი აქვს ინჟენერს კრივცოვს.

⁂ ქალაქის აფთიაქის იჯარადრებს ძმათ ენიკოლოფოვებს შარშანდელის წლის იჯარის ფული, 4,910 მან., ჯერაც ვერ გარდაუხდიათ. ენიკოლოფოვებმა სთხოვეს გამგეობას შეუმცირონ მათ ხვედრი გარდასახადი გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა მათი თხოვნა და დაავალა ქალაქის ვექილს სასამართლოს წესით გარდაახდევინოს ენიკოლოფოვებს იჯარის ფული.

⁂ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ანგარიშიდგან სჩანს, რომ შარშან ქალაქის გარდასახადები შემოსულა 261,924 მან. და 59 კაპ. მათ შორის 67,061 მან. 19 კაპ. დაფასების გადასახადი, 29,124 მან. 5 კ. ცხენების გადასახადი, 1,627 მან. 50 კ. მუშა-საქონლის გადასახადი, 1,134 მანეთი 60 კ.—ძაღლებისა, 19,673 მან. 13 კაპ. ქალაქის ადგილების იჯარისა, 10,275 მან. 94 კაპ. ქალაქის შენობების ქირისა, 4,884 მან. და 9 კაპ. ქალაქის მიწების იჯარისა, 19,663 მან. 2 კაპ. სოფლებიდგან შემოყვანილ საქონლის გადასახადი, 65,913 მან. 11 კაპ. დაკლულ საქონლისა, 8,953 მან. 75 კ. დაკლულ ღორების შემოწმებისა, 30,537 მან. 80 კაპ. ტრაქტირების გადასახადი და 1,052 მან. და 73 კაპ. სასწორებისაგან.

⁂ ქალაქის სკოლებში გალობის მასწავლებლად დაუნიშნავთ ბ-ნი ნატრიძე.

⁂ კავკასიის გუბერნიებში საფაბრიკო უფროს ინსპექტორებისა და საფაბრიკო ინსპექტორების თანამდებობაზე იანვრიდგან დაინიშნენ: 1) უფროს ინსპექტორის თანამდებობაზედ ტფილისის გუბერნიაში—ინჟენერ-მეხანიკოსი ხელიმსკი; ჩერნომორსკისა—მოსკოვის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი, ტეხნოლოგი ობუხოვსკი; ქუთაისისა—ბაქოს გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი, ინჟენერ-ტეხნოლოგი პისარენკო; ბაქოსა—ეკატერინოსლავის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი, ინჟენერ-ტეხნოლოგი ბრაილოვსკი; 2) საფაბრიკო ინსპექტორის თანამდებობაზე: ჩერნომორსკის გუბერნიაში—ინჟენერ-ტეხნოლოგი მაიგური და კანდიდატი საფაბრიკო ინსპექტორისა ინჟენერ-ტეხნოლოგი მალინოვსკი. ამასთანავე თერგის ოლქის მეხანიკოსის თანამდებობაზე გადაყვანილია ქუთაისის გუბერნიის საგუბერნიო მეხანიკოსი ტეხნოლოგი სინიცინი.

⁂ 18 ამ იანვარს ხოჯევანქის სასაფლაოზედ თავის საგვარეულო სამარხთან თავი მოიკლა რევოლვერით მეორე გილდის ვაჭარმა გრიგოლ გიორგის ძე სარაჯევმა. ტყვია მარჯვენა საფეთქელში მოჰხვედრია და მეორე მხარეს გასულა. რევოლვერი იქვე ეგდო. როგორც გამოძიებიდგან აღმოჩნდა, მიცვალებული ძმებთან ერთად ვაჭრობდა რიყეში, ჩითახოვის მამულში, და ამ ბოლოს დროს ვაჭრობა ცუდად მისდიოდათ. ჯიბეში სამი პატარ-პატარა ბარათი უნახეს, ცოლთან და მეგობრებთან მიწერილები. ამ ბარათებით ეთხოვება მათ და სთხოვს იმისი სიკვდილი არავის დააბრალონ. მიცვალებული, როგორც ამბობენ, პატიოსანი ვაჭართაგანი ყოფილა.

⁂ ქართვ. შორის წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის ერთმა წევრთაგანმა გვთხოვა გამოვაცხადოთ, რომ იანვრის 14-ს დანიშნული გამგეობის მორიგი კრება არ შესდგა და გადაიდვა მეორე დღისათვის, არა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, როგორც ჩვენის გაზეთის № 12-ში იყო მოხსენებული, არამედ წმ. ნინოს დღესასწაულის გამო.

—

იმერეთის ამბები:

—

⁂ იანვრის 11-ს, ნაშუადღევს 4½ საათზე, ტუაპსეში ყოფილა სუსტი მიწის ძვრა.

⁂ მოსკოვიდგან ბათომში ჩამოუტანიათ ორი ზარი იქაურის მართლ-მადიდებელ ტაძრისათვის, რომლის შენებასაც ახლა ამთავრებენ. ერთი ზარი ხუთას ოცს ფუთს იწონის, მეორე-კი ას ორმოც და სამს.

⁂ გარდა იმ სოფლებისა, რომლებიც „ივერიის“ № 13-ში იყო მოხსენებული, ბარიტი აღმოჩენილა აგრეთვე ს. სვირში (ქუთაისის მაზრა) **ს.** შორაპანში და მუხურაში (შორაპნის მაზრა), წარმოება უკვე დაუწყიათ. ჩამოსულან სხვა-და-სხვა ადგილებიდგან უცხო ტომის ჩარჩები და ბურთი და მოედანი დაუნარჩუნებიათ. ისინი ადგილების პატრონისგან კაპიკად ყიდულობენ იმას, რაშიაც თვითონ შეუმუშავებლად მანეთს იღებენ. სად არიან ჩვენებური მადნის ინჟენერები და ფულიანი კაცები?!

⁂ სოფ. წევაში (შორაპნის მაზრა) მცხოვრებთ ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით განუზრახავთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება და უკვე შესაფერის თხოვნით მიუმართავთ მთავრობისათვის. ამ განზრახულ ბიბლიოთეკას დიდი კერძო შემოწირულება მოელის. მარტო ერთ ადგილობრივ მცხოვრებს—სვიმონ გოჩელიძეს—აღუთქვამს ამ წიგნთ-საცავისათვის თავისი წიგნები, სულ ათას ეგზემპლიარამდე.

ჩვენის სტუდენტების საყურადღებოდ.

II

პირველ წერილში ვურჩიეთ სტუდენტებს აელოთ ხელი სასტუდენტო ტრადიციებზე.

ამისი თქმა დიდი შეცდომა იყო და ამ შეცდომას აღვიარებთ საჯაროდ. შეცდომა იყო იმიტომ, რომ ზოგიერთ სტუდენტს ამის გაგონება ეწყინებოდა და სტუდენტების წყრომა-კი ხომ დიდი [illegible],—გადაგვეწყვეტინებს [illegible] მართლაც [illegible] დაგვჯერებინებს...

გიმნაზიელები საზოგადო ცხოვრების რომ

დაშორებულნი არიან, ცხადია; გიმნაზიელები ცხოვრების ვითარებაში ჩახედულები რომ არ არიან,—ეს ყველამ იცის.

უნივერსიტეტში ახლად შესული სტუდენტი ორის-სამი თვის განმავლობაში რომ ვერ შეისწავლის ცხოვრებას ცოდნით ან განვითარებით ასე ადვილად, რომ ვერ დაშორდება გიმნაზიელის ცოდნას ან განვითარებას,—ესეც არ მიგვაჩნია საეჭვოდ: სასწაულები ჩვენს დროში არავის სჯერა.

ამიტომ გვიკვირს, როდესაც ახლად გასტუდენტებული ყმაწვილი რიხიანად იწყებს რთულ საზოგადო საგანზედ ლაპარაკს, ცხოვრებაში გამოცდილ კაცებს უწევს წინააღმდეგობას, ახალ კანონ-მდებლობას ითხოვს, საზოგადო ცხოვრებაში ერევა და უნდა თავისს ნებაზედ დაატრიალოს საზოგადო ცხოვრების ჩარხი.

რაკი სასწაულები არა გვწამს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ახლად გასტუდენტებული ყმაწვილი თუ იწყებს ამაების ლაპარაკს, ისევ სხვის ფეხის ხმის აყოლი არის, თორემ შეუძლებელია ორის თვის განმავლობაში გაირკვიოს ადამიანმა ცხოვრებაში სავლელი გზა და თავისი მიმართულება. ახლად გასტუდენტებული ყმაწვილი ამ მიმართულებას ითვისებს ხშირად გულით და არა გონებით.

ჩვენს დროში, როდესაც ადამიანი ყველგან ფაქტებს, ეძებს როდესაც სამეცნიერო კვლევა-ძიების მეთოდმა დაიჭირა უწინდელ სხოლასტიურ და სარწმუნოებრივის მეთოდის ადგილი, როდესაც მოვსპეთ ავტორიტეტების ბატონობა ჩვენს გონებაზედ და ყველგან თავისუფალ, დამოუკიდებელ მოაზრეობას დავეძებთ,—როდესაც ამას თხოულობს თვით სტუდენტობაც—საკვირველია სტუდენტობის მონობა ტრადიციებისა და ამხანაგების წინაშე.

გიმნაზიას რომ ათავებს ყმაწვილი და უნივერსიტეტში გადადის, კეთილ სურვილებით სავსეა,—ოცნებობს მეცნიერებაზედ, სწავლასა და განვითარებაზედ.

უნივერსიტეტში რომ შედის, მაშინვე ეცემა ტრადიციების, სასტუდენტო ცხოვრების ტალღა,—მზა-მზარეული მიმართულება, რომელიც ახალგაზრდა სტუდენტს საზოგადო მოღვაწეთ ჰსახავს, რომელიც არ ითხოვს მისსგან საამისოდ არც ცოდნას, არც მომზადებას და არც საზოგადო ცხოვრების შესწავლას,—მხოლოდ არსებულ წყობილების გაკიცხვას ურჩევს და სატრფიალო სურვილის განსახორციელებლად ბრძოლას ჰქადაგობს.

გონებით და ხასიათით სუსტი ადამიანი ყოველსავე ძალას ემორჩილება. სასტუდენტო ტრადიციებიც ერთგვარი ძალაა და ახალგაზრდა სტუდენტიც ადვილად ემორჩილება მის წარმტაც გავლენას,—გულწრფელად ემსახურება ახლად გაგონილს აზრებს და მზად არის თავი შესწიროს მათ განხორციელებას. მაგრამ მისი გატაცება—გარეგანია, თავის განწირვის სურვილი და ბრძოლაში გაბედულობა—მონური.

მხოლოდ ამითი აიხსნება ის სამწუხარო გარემოება, რომ ცხოვრებაში გამოსული სტუდენტი ადვილად ივიწყებს თავისს მიმართულებას,—სტუდენტობის დროს ვერ შესჩვევია დამოუკიდებელ მოაზრეობას, განვითარების თან-და-თანობას, იმ თავითვე ყოველთვის მახლობელ ძალას—ამხანაგებისა და სასტუდენტო ტრადიციების გავლენას—ემორჩილებოდა, და, როდესაც ცხოვრებაში გამოდის, დამოუკიდებელ მოქმედებისათვის საკმარისი ძალა და ხასიათის სიმტკიცე არ შესწევს, მორჩილებით მუხლს იდრეკს პირველისავე ძალის წინაშე.

აქ არ გვსურს ამა თუ იმ მიმართულების სიავ-კარგე ვუჩვენოთ სტუდენტებს,—მათი სათაყვანო იდეალები შეიძლება ჩვენც სათაყვანოდ მიგვაჩნდეს,—გვინდა მხოლოდ, რომ ყოველმა ადამიანმა თავისი მიმართულება თვითონ გამოირკვიოს და ეცადოს შეაჩვიოს გონება ყოველისავე მოვლენის დამოუკიდებელ, პირუთვნელ დაფასებას და აწონ-დაწონას; გვინდა, რომ აზრი, მიმართულება იყოს აშენებული ფაქტების შესწავლასა და დაკვირვებაზედ, თორემ სტუდენტობა ხშირად სხვაფრივ იქცევა,—ჯერ მიმართულებას ითვისებს და მერმე ამ მიმართულების თვალით უყურებს ცხოვრებას.

ეს ხომ სხოლასტიური სარწმუნოებრივი მეთოდია და ამ მეთოდს უარ-ჰყოფს ეხლანდელი მეცნიერება.

ამნაირ მეთოდით შეთვისებულ მიმართულებას მოჰყვება ყოველსავე საქმეში უკიდურესობა, მოწინააღმდეგე მიმართულებასთან ფანატიკური ბრძოლა, მოწინააღმდეგესაგან წარმოთქმულ მართლ აზრისაც უარის ყოფა და საერთო განხეთქილება იქ, სადაც ამ განხეთქილებას საერთო დაღუპვა მოჰყვება და მოწინააღმდეგესთან შეთანხმებით-კი შეიძლება ნახევრად მაინც აისრულოს თავისი სურვილი ადამიანმა. ამნაირ მეთოდზედ აშენებული ცოდნა გაუხდა მიზეზად საშუალო საუკუნოებში სარწმუნოებრივ განხეთქილებას, რომლის მრავალი საზარელი ამბავი და ტყუილ-უბრალოდ დაღვრილი სისხლი ეხლა გვაოცებს.

ჩვენ გვინდა გავრცელდეს სტუდენტობაში დამოუკიდებელი მოაზრეობა, რომ ყოველმა სტუდენტმა შეითვისოს სტუდენტობის დროს სამეცნიერო, დამოუკიდებელ და ფაქტებზედ აშენებულ კვლევა-ძიების მეთოდი, გაიძლიეროს გონება, განამტკიცოს ხასიათი, შეიძინოს საფუძვლიანი ცოდნა და თავისით, დამოუკიდებლად გაირკვიოს მიმართულება ამნაირად შეთვისებული მიმართულება შეესისხლ-ხორცება სტუდენტის არსებას,—ცხოვრებაში რომ გამოვა ასეთი ახალგაზრდა, მისი მოქმედება იქმნება ნაყოფიერი,—ძლიერი სული ვერ დაემორჩილება ცხოვრების სიგლახეს და, ადრე იქმნება თუ გვიან, მოახერხებს თავის იდეალის მიღწევას.

სხვები თუ ეუბნებიან სტუდენტებს, შეითვისონ ესა თუ ის მიმართულება და იმოქმედონ ეხლავე ამა თუ იმ იდეალისათვის,—ჩვენ ვურჩევთ დააკვირდნენ ყოველს მიმართულებას, ყველას დაუგდონ ყური, გაივარჯიშონ გონება, შეიძინონ ცოდნა და მერმე მიეკედლონ იმ მიმართულებას, რომელიც, მათის აზრით, უფრო სასარგებლოა ხალხისათვის.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს სტუდენტებს საამისოდ შესწევთ საკმარისი გონებრივი ძალ-ღონე.

ამასთანავე დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრ სტუდენტს ენატრება გულით საფუძლიანი ცოდნის შეძენა და რომ ეხლანდელ სასტუდენტო მიმართულების მათზედ უდროვოდ გაბატონება ხელს უშლის და ამნაირად აფერხებს ჩვენის საზოგადო ცხოვრების განვითარებას.

ვურჩევთ სტუდენტებს თავიანთი სასწავლო საგნები შეისწავლონ საფუძვლიანად; ზოგიერთი საგანი უსარგებლო ჰგონია, მაგრამ ცხოვრებაში-კი საჭირო არის და ამასთანავე საჭირო იმისთვის, რომ დანარჩენი საგნები შეიგნოს ადამიანმა; ცოდნა სისტემატიური უნდა იყოს, დალაგებული და ის სტუდენტი, რომელიც ზოგს საგანს სწავლობს, ზოგს კიდევ ყურადღებასაც არ აქცევს, ამითი უარს ამბობს სისტემატიურ ცოდნაზედ და დილეტანტობას იწყებს.

თავისუფალი დრო სტუდენტმა უნდა მოანდომოს თვით-განვითარებას. მსოფლიო ისტორია, ჩვენის ქვეყნის აწმყო და წარსული, ევროპის და აზიის ან სხვა ქვეყნების ახლანდელი მდგომარეობა, მათი სახელმწიფო წყობილება, ადგილობრივ და უმაღლეს დაწესებულებათა ერთმანეთში დამოკიდებულება და სხვაც მრავალი, რაიცა აუცილებლად საჭიროა ადამიანისთვის მიმართულების შესამუშავებლად,—აი, რას უნდა მოანდომონ სტუდენტებმა თავისუფალი დრო უნივერსიტეტში, რომ მოემზადნენ ამნაირად საზოგადო ასპარეზზე გამოსასვლელად.

განსაკუთრებით ვურჩევთ შეისწავლონ უცხო ენები და გაიადვილონ ამნაირად ყოველგვარ ცოდნის შეძენა.

ყოველისავე ამის შესწავლა შეუძლიანთ სტუდენტებს წიგნების კითხვით,—ხელის შემშლელი ამაში არავინა ჰყავთ და რუსულ მწერლობაშიაც ბევრია საამისოდ საფუძვლიანი და რიგიანი თხზულებანი.

გვგონია და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს წერილში გამოვხატეთ ის აზრი, რომელიც დიდი ხანია ტრიალებს და თან-და-თან იზრდება სტუდენტობაში, და ვიცით, რომ სტუდენტობის საუკეთესო ნაწილი ამ აზრს ადგია.

ამ აზრის გაბატონება არ იამება ზოგიერთ სტუდენტს, რომელიც თავისს გონებრივს არარაობას ჰფარავს ორიოდე წიგნაკსა და გაზეთში ამოკითხულ, ან შემთხვევით სადმე გაგონილ აზრით, და უნივერსიტეტში ყოფნის დროს ანდომებენ ქაღალდის ან ბილლიარდის თამაშს, ქალების არშიყობას, ღვინის სმას და ყოველგვარ დროის გატარებას.

ამათაც სტუდენტის ქუდი ახურავთ!

სტუდენტიც არის და სტუდენტიც....

ქ. თუმანიშვილი.

სახელდახელო

ბათუმში, ვიტყვით იმ გაზეთისებურად, რომელიც ქართულის ასოებით იბეჭდება,—„შემდეგი კითხვა დაიბადა“: რა უფრო ძნელია, მზარეულის ამორჩევა, თუ ქალაქის მოურავისაო?

ამ „კითხვის დაბადებას“ ბებიობა გაუწია ჩვენ მიერ არა ერთ-გზის ყბად აღებულმა და აწ უკვე „სახელ-გაკეთებულმა“ წევრმა ბათუმის ქალაქის გამგეობისამ ბ-ნმა ივანოვმა, რომელმაც 10 იანვარს სულ ახალი „უნარები“ გამოიჩინა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ...

მადა არის, მაგრამ ქადა გარბის!...

ვიდრე ამ „ქადის“ გაქცევის, ანუ ხელიდგან გასხლტომის ამბავს გიამბობდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ უთავოდ დარჩენილმა ბათუმმა იგრძნო, თუ უფრო აგრძნობინეს, რომ თავიც კარგია, თუ თვითვე ახლავს ადამიანსაო, და მან თავად, ანუ მოურავად 4 იანვარს 26 ხმით 3 წინააღმდეგ ამოირჩია თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, კაცი მხნე, გამრჯე და გამჭრიახი.

ეს არჩევანი ბ-ნ ივანოვსა, პალმსა და მისთანათა დიდად ე... რასაკვირველია, ეს „ე“ უფრო წყენას ეკუთვნის, ვიდრე სიამოვნებას.

„მოადგილე“ ივანოვმა მაშინვე დეპეშით აცნობა გუბერნატორს: თავ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მაგრამ მისი „სამზრუნველო ცენზი“ უკანონოა და არ დაამტკიცოთო.

ბ-ნმა გუბერნატორმა არ დაამტკიცა, რადგან მართლაც „ცენზი“ უკანონო აღმოჩნდა—თავ. შერვაშიძეები, რომელთა მზრუნველადაც დაინიშნა თავ. ანდრონიკაშვილი, დასრულწლოვანებულიყვნენ.

ეს ის „ცენზია“ თურმე, რომლითაც საარჩევანო მარაქაში გარეულა ამ სამის წლის წინად ბათუმის საბჭოს შესანიშნავი მასხარა-ხმოსანი, ქართველების გულითა და სულით მოსიყვარულე ბ-ნი პალმი.

10 იანვარს ქალაქის გამგეობას მოუვიდა ბ-ნ გუბერნატორის დეპეშა, დაუყოვნებლად მოახდინეთ არჩევანიო.

ბ-ნმა ივანოვმა, „ძალად წევრმა და მოადგილემ“, არჩევანი დანიშნა იმავ 10 იანვრისათვის.

მთავრობის განკარგულების ასრულებაც ასეთი უნდა!..

ამ დრომდე ბ-ნი ივანოვი იმ აზრისა იყო, რომ რა საჭიროა თავი, როდესაც მე, „მოადგილეც“, შევიძლებ ძალად-თავობას და იმისი ჯამაგირიც არც მაწყენს და არც მატკენსო, ამ დღეს-კი, 10 იანვარს, გახურდა და მეტად, მეტის-მეტად დააყოვნა „დაუყოვნებლობა“.

ხმოსნებს თურმე საბჭოში [illegible] რათი საღამოს 5 საათზედ დაურიგდათ.

5 საათზედ აცნობებდნენ, რომ $7^{1}/_{2}$ საათზედ ქალაქს „თავი“ უნდა მოუძებნოთო.

$2^{1}/_{2}$ საათში კარგი მზარეული ცხვრის თავსაც ვერ იყიდის ბაზარში!..

ხმოსანთა შორის ჩოჩქოლი ასტყდა, უკმაყოფილებისა და დრტვინვის ხმა გაისმა.

აი, ამ დროს „დაიბადა კითხვა“: მზარეულის ამორჩევა უფრო ძნელია, თუ ქალაქის თავისაო.

უმრავლესობა იმ აზრისა იყო თურმე, რომ ქალაქი ჩვენი კუჭსა სჯობია და ამიტომ მისთვის უფრო უნდა ვიზრუნოთო.

ბ-ნნი ივანოვი და პალმი-კი საკუთარს კუჭს ამჯობინებდნენ ქალაქს და ამიტომ მზარეულის პოვნა და შოვნა უფრო ძნელად მიაჩნდათ, მით უმეტეს, რომ მზარეულად არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა, ხოლო ქალაქის მოურაობას-კი „საზოგადო სარგებლობისათვის“ სიამოვნებით იკისრებდნენ.

ამ „საზოგადო სარგებლობისათვისვე“ იყო არჩევანი ასე აჩქარებით, ასე „დაუყოვნებლად“ და სულ-სწრაფობით დანიშნული, მაგრამ ბათუმის ხმოსნებისთანა უცნაური ხალხი ძნელად საპოვნელია.

იმის მაგივრად, რომ აღლოთ და იქავე „მზადმყოფი“ ივანოვი აერჩიათ, ისინი ვერაგებრ სულ სხვა „ივანეს“ მოლოდინში იყვნენ თურმე.

ბოლოს, „ვერაგ“ ხმოსანთა დასამშვიდებლად, ბ-მა ივანოვმა, ბ-ნ პალმის ნება-დართვითა და სოპერეკო მასხრის ბეჭედ-დასმით, არჩევანი 8-დგან 11 საათამდე გადასდო.

შეჯგუფდნენ ხმოსნები ერთად და ელოდნენ...

ელოდნენ ივანოვი და პალმიც თერთმეტს საათს ღიმილით, რომ უსახსროდ დარჩენილ ხმოსნებს უფლების მიმნიჭებელი არწივი აფრინებინათ საბჭოს დარბაზში და ეს ფრინველთა მეფე ბ-ნ ივანოვის თავზედ დასკუპებულიყო.

შესრულდა ორი საათი და ხმოსნებმა კარებისაკენ დაიწყეს ყურება.

ნეტა რას მოელოდნენ?..

საბრალო ივანოვს განა არა ამ დროს მარცხენა წარბმა თამაშობა დაუწყო.

გახდა თერთმეტის ნახევარი, ვიღაც კისერმოსატეხმა ერთხელ დააცემინა ცხვირს და კარებიც გაიღო.

შემოვიდა კარლოს ჩხეიძე, რომელსაც ხელში რაღაცა გაფრიალებული ქაღალდი ეჭირა, ისე, როგორც ხინჩლა შემოდის ხოლმე „ბიძიასთან გამოხუძრებაში“...

აქამდე მოიმედე ივანოვს რომ თავს შილლერის კარლოს მოორი დასცემოდა ხანჯალამოღებული, ისე არ ემწვავებოდა, როგორც კარლოს ჩხეიძის დანახვა ემწვავა.

ის გაფრიალებული ფარატინა თურმე მეორე „ივანეს“ მეორე, წუნ-დაუდებელი ცენზი იყო...

ფელეტონი

„ცნობის ფურცლის“ მედროშე.

„გადიდებულ „ივერიის“ საპროგრამო წერილებმა დიდი ალიაქოთი ასტეხეს ჩვენს პრესსაში. მეტოქე პუბლიცისტები მეტად აღელდნენ და განრისხდნენ. ზოგი მათგანი თითქმის კიდეც გაშმაგდა და ჯერაც კიცხვასა და კილვას თავს არ ანებებს. მაგალითად, მარტო **ხანგი ხიხოც** კმარა. ყველას მოეხსენება, რომ ეს „ჯანყითა და ბურუსით“ მოცული კალმოსანი, „ივერიის“ გადიდებამდე, მხოლოდ მაღალ სიტყვების ლაწა-ლუწით თავბრუს ახვევდა საცოდავ მკითხველს. ახლა ხიხო სხვაფრივ ათუთურდა: სამეცნიერო ტერმინების უაზრო რახა-რუხით პუბლიცისტად ვერ გავხდები და მოდი ბერიკაობას დავიწყებო და მიჰყო კიდეც ხელი საჯამბაზო ვარჯიშობას... სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ კალმოსანს ლიტერატურული მასხარაობა ირონიად და სატირად მოეჩვენა. აბა რა გზით შეიძლება სერიოზული კამათი ასეთ ვითომდა ლიტერატორთან?!...

სულ სხვა ზნისა და თვისებისაა ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე. ამ ახალგაზდა მოღვაწის ლიტერატურული რაინდობა, „ჯენტლმენობა“ პირველადვე გხიბლავთ, გიმონავებთ. ლიტერატურულ ზრდილობისა და ითიკის მხრივ იოტის ტოლა წუნსაც ვერ დასდებთ იმის კალამს. რა სამწუხარო და სასაცილოა, როცა ამისთანა „ჯენტლმენს“ გვერდით უდგია ასეთი ლიტერატურული ტაკიმასხარა, როგორიც **ხანგი ხიხოა!..**

დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ არჩილ ჯორჯაძის კრიტიკული წერილი—„განახლებულ „ივერის“ გამო“ („ცნობის ფურცელი“, 1901 წელს, № 168). წერილი ბევრად საყურადღებოა. აქ ვერ შეჰხვდებით იმ ლოგიკურს ტორტმანსა და ბორძიკს, რომელსაც ნაკლად სდებენ ჯერ კიდევ გამოუცდელ ლიტერატორსა. თავიდამ ბოლომდე მთელ წერილში ხაზი და ლარი სწორედ არის გატარებული. გარდა ამისა, ავტორი პრინციპიალურად ბჭობს, ჩვენს მთავარს აზრს თავისას უპირდაპირებს. ესაც მცირედი ღირსება როდია. ამას ზედ დაურთეთ ავტორის ჩვეულებრივი ლიტერატურული ზრდილობა და მაშინ დაინახავთ, რომ იმასთან კამათი და პაექრობა სახალისოა. სავალალოდ ეს „ჯენტლმენი“ ლიტერატორი ვერ ასცდენია მხოლოდ ერთს საცდურს, რომელიც უფრო სიჭაბუკისაგან წარმოსდგება: არჩილ ჯორჯაძეს მეტად მოსწონს მეტოქის სხვა-და-სხვა ეპიტეტით შემკობა და თავისს წერილში, თითქოს ჯვარის მამის ლავაშიაო, ისრე არიგებს სხვა-და-სხვა საზიზილ-პიპილო პატენტს. რასაკვირველია, „ივერია“ აღიარებულია რეაქციონერთა და კონსერვატორთა ბანაკად. ეს ბანაკი პროგრესს უშლისო და ახალგაზდა ამირ-სპასალარი თავისის სპით იერიშს გვიქადის და წინადვე უხარიან, „მოპირდაპირენი ბუჩქებს ვეღარ ამოეფარებიანო“... მაგრამ „ივერიის“ ვინ-ღა სჩივის, თვით უდიდესი მეცნიერი სპენსერი—horribile dictu—სრულიად დამარცხებული და მიწასთან გასწორებულია!... რას ვიზამთ, როცა ასეთია სიჭაბუკე და იგი არასფერს არ უფრთხის. რაც უნდა იყვეს, არჩილ ჯორჯაძესთან მაინც ღირს კამათი.

უკვე მოგეხსენებათ, ჩვენ შორის რა გახდა სადავო საგნად. გადიდებულ „ივერია“-ში დაბეჭდილი იყო რამდენიმე საპროგრამო წერილი. იქ ვამბობდით, ჩვენი გაზეთი ეროვნულ მიმართულებას ემსახურებოდა და ახლაც ამ მოძღვრებას დაადგება, ერი ორგანებრივი სხეულია, თვითოეული ჯგუფი ამ სხეულის ნაწილს შეადგენს და ჩვენც ყველასთვის თანასწორად ვიზრუნავთ და მცნებად დავიდებთ—„ძმობას, ერთობას, თანასწორობას“. „ივერია“ ამას უმატებდა, რომ წოდებრივმა წყობილებამ დრო მოჭამა, ამ წყობილებას იგი მხარს არ დაუჭერს, ყველა ქართველი კაცად და ადამიანად მიაჩნია და ამიტომ უარ-ჰყოფს კლასებრივს ანუ დასებრივს მოძღვრებას, რომელიც ვიწრო ბილიკით დაიარება და მთელს ერის გულს ვერ აღწევს, ვინაიდგან მარტო-ოდენ მდაბიო ხალხს და მუშას ეტრფიალება, ესარჩლებაო. მოხსენებული იყო აგრეთვე, რომ კლასებრივი ანუ დასებრივი მიმართულება ეროვნულს ერთიანობას არღვევს, შუღლსა და ქიშპს ჰბადავს ქართველთა შორის და ეს ხომ დიდად მავნებელიაო.

არჩილ ჯორჯაძე მედგრად შეებრძოლა ამ პროგრამას: „ივერიის“ ახალ რედაქციას თანამედროვე ცხოვრების ალღო ვერ აუღია, იგი დახავსებულ და გადაბირებულ საზომით ჰზომავს საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობასაო“... ეს „დახავსებული და გადაბირებული საზომი“ თურმე ყოფილა ის „ძმობა, თავისუფლება, თანასწორობა“, რომელიც „ივერიამ“ თავისს დროზედ დასწერა. ეგ ბურჟუაზული ლიბერალიზმია, იურიდიული და პოლიტიკური ფორმულააო. ცხოვრებამ აღმოაჩინა ბურჟუაზულ ლიბერალიზმის სუსტი მხარე, მისი კოტრობა და უძლურება, ლიბერალიზმი აღარ აკმაყოფილებს „დამწიფებულ თვითცნობიერებას“ და ამ ჟამად ევროპაში პროგრესიულ მოძღვრებად ეკონომიური თანასწორობა და სოციალური თანხმობა არის აღიარებულიო...

ყოველივე ეს ისეთის თავმოწონებითა და რიხით არის ნაამბობი, რომ ზოგს მკითხველს კიდეც ეგონება, აი სწორედ „ცნობის ფურცელმა“ აღმოაჩინა ამერიკაო, თუმცა ეს გაზეთი ახალს არას ამბობს და მხოლოდ ნაღეჭსა და ნაცოხნს იმეორებს. რომელმა „ივერიის“ მოღვაწემ არ უწყის, რომ ჯერ ისევ რუსულმა პუბლიცისტიკამ ყველას ყური გამოუჭედა ლიბერალიზმის იმ კრიტიკით, რითაც ასე თავი მოაქვს ახალგაზრდა პუბლიცისტს. ეგ კრიტიკა მხოლოდ უმეცრის გულს თუ მოინადირებს, ტაშს იმას თუ დააკვრევინებს, თორემ ცოტაც არის განვითარებულს ქართველს მარტო ღიმილს თუ მოჰგვრის... რასაც ახლა ჩვენი პუბლიცისტი, სამწუხაროდ, უშნო და ულაზათო ქართულის ენით, ჰღაღადებს ლიბერალიზმის გამო, იმას მშვენიერის და კოხტა რუსულ ენით ამბობდა პისარევი (მაგალითებრ, იხ. იმის წერილი Генрихъ Гейне, гл. V). წარსულ საუკუნის სამოც წლებიდგან დაწყებული აქამომდე ჯორჯაძისებური წყალ-წყალა კრიტიკა ლიბერალიზმისა მართლადაც და „დახავსებულ და გადაბირებულ“ ფრაზეოლოგიათ შეიქმნა, ტრუიზმად გარდაიქცა. ახლა ეგეთი კრიტიკა, თუ დააკმაყოფილებს, მარტო იმას, რომელიც მდარე ფასის ლიბერალურ ჟურნალ-გაზეთებით იკვებება. მეცნიერება სხვა „საზომით“ ეპყრობა ლიბერალიზმს და თუმცა პატივცემულ პუბლიცისტს სძულს ორგანებრივი თეორია, მაგრამ მაინც მივუთითებთ ფრანცის **Общія начала физiологiи государства**“, სადაც ლიბერალიზმი სხვანაირ კრიტიკის ქარ-ცეცხლშია გატარებული...

არჩილ ჯორჯაძე ამბობს, „ივერიის“ რედაქციამ თანამედროვე ცხოვრების ალღო ვერ აიღო, ძმობას, თავისუფლებას და თანასწორობას ჰქადაგებს და ეს მოძღვრება დიდი ხანია დახავსდა და გახუნდა ევროპაშიო. ჯერ ერთი, რომ ევროპა სხვაა და საქართველოსთან საერთო მაგრე რიგად არაფერი აქვს. იქ დაძველდა ბევრი რამე ისეთი, რომელიც ახალ ბედნიერებად მოევლინებოდა ჩვენს ბეჩავსა და უკან ჩამორჩენილს სამშობლოს. ევროპა რამოდენი ხანია ახალ პროგრესის გზას დაადგა და საოცარის სისწრაფით მიფრინავს ამ გზაზედ. აბა იმასთან რა შესადარებელია პაწია საქართველო, რომელიც ისეთის სიზანტით და ზლაზნით დაიარება განათლების გზაზედ, რომ ბევრს მამულიშვილს სასოწარკვეთილებაში აგდებს, კაეშნით გულს უწყლავს, სულს უშფოთებს. ეგრეც რომ არ იყვეს, თვითოეულ მოძღვრებას, ლიბერალიზმი იქმნება იგი თუ დემოკრატიზმი, დრო და ალაგი ესაჭიროება და მოძღვრებაც პირველად ამ „საზომით“ უნდა განიზომოს და მსჯავრი ისრე დაედოს... ევროპის მაგალითი რა მოსატანია და ისტორიული პარალელი ამ შემთხვევაში რა ხელწამოსაკრავია.

მაგრამ საქმე ისაა, რომ არც ევროპაში აქვს ლიბერალიზმს სახელი ისრე გატეხილი, როგორც ჩვენებურის „დამწიფებულ თვით-ცნობიერების“ მოციქულს ჰგონია... თვით სოციალური პრობლემა, რომელიც ეკონომიურ თანასწორობას ჰღაღადებს, ლიბერალიზმის პრინციპის განმეორებაა, თუმცა სხვა თვისებისა-კი. ეკონომიური თანასწორობა იგივე ერთობა და ძმობაა, რომელსაც ლიბერალიზმი აღიარებს...

არჩილ ჯორჯაძე პროგრესიულ მოძღვრებად (მარტო საზოგადოდ კი არა, ჩვენთვისაც) ეკონომიურს თანასწორობას სთვლის. „ეკონომიური უთანასწორობა არის უმთავრესი მიზეზი კაცის კაცისაგან დამონავებისაო“ და ვიდრე ეს უთანასწორობა არ მოისპობა, ყოველივე ამაოდ დარჩებაო. ერთის სიტყვით, „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტი ცხოვრების ღერძად ეკონომიურს ფაქტორს ხდის—ყოველივე ამ ფაქტორს ემორჩილება და მისგან წარმოსდგებაო. მაგრამ ეს მთავარი აზრი ცალ-კერძო და უკიდურესია. ცხოვრება და ისტორია ჰმოწმობს, რომ ეკონომიური ფაქტორი სრულიად არ შეადგენს იმ „კატეგორიულ იმპერატივს“, რომელსაც ყველაფერი მონებრივ ემორჩილება. ისტორიული ერი რთული არსებაა, კიდევ ვიტყვით—რთული სხეულია და აქ არსებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდ, და ამას იქით ბათუმის ხმოსნებს ვდეგ!

უყარეს კენჭი 11 საათზედ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს და 24 „ვერაგის“ ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ „ისევ ის“ გარ ული ივანე“ აირჩიეს.

ამ არჩევანში „შინაურმა ივანოვმა“ მონაწილეობა არ მიიღო—ბრალი აიყარა, არ გაერევი მაგისთანა „ვერაგს“ საქმეშიო.

ამბობენ, ერთი შავი იქიდგან გაჩნდა, რომ ბ-ნს პალმს კენჭი „თეთრისკენ“ მიჰქონდა, მა, რომ უცებ გაუვარდა ხელიდგან და „შავში“ ჩავარდაო!..

ბ-ნს ივანოვს რომ მონაწილეობა მიეღო, ასეთი „უცებობა“ იმასაც არ ასცდებოდა.

ამითი დასრულდა არჩევანი, რომელმაც ბევრი რამ გვამცნო და დაგვანახვა.

პირველი ის, რომ ბათუმის ხმოსნები სანდონი არა ყოფილან.

მეორე ის, რომ თუ ბათუმის ხმოსნებს კრება აქვთ და კარლოს ჩხეიძე-კი იქ არის, ეს ცუდი ნიშანია და უბედურების მომასწავებელი. ამიტომ ბ-ნი ივანოვი, პალმი და მათნი დამქაშნი ამას იქით ეცდებიან კარლოს ჩხეიძე ადრევე დაამწყვდიონ და არსად გაუშვან, ისე როგორც ჩვენი დიასახლისები კუდიანობა ღამეს კატას დაამწყვდევენ ხოლმე.

ამ არჩევანმავე გვამცნო, რომ ბ-ნი ივანოვი არა ყოფილა მოწადინებული ქალაქის მოურავობას, მხოლოდ ამოირჩევდნენ-კი, კრება 11-მდე რომ არ გადაედო ხმოსანთა ვერაგობით მოტყუებულს, ან კარლოს ჩხეიძეს რომ გზაზედ კისერი მოეტეხა და დროზედ ვერ მისწრო.

რა გაეწყობა? ახლა მხოლოდ იმითი შეუძლიან ინუგეშოს თავი, რომ წინასწარმეტყველი ყოველთვის შეურაცხ არის სახლსა შინა თვისსა...

* *

საბრალო ივანოვი, ისევე დაეკარგა იმედი თავად გახდომისა, როგორც ჩვენ „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ წევრთა აქვთ დაკარგული ანგარიშის ხილვისა.

ტფილისში დიდი ხანია არსებობს „ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელიც ყოველ სხვა ამხანაგობისაგან იმითი განირჩევა, რომ, ჯერ ერთი, სახელი მისი სახ[illegible]ავთან მწყრალად გახლავს, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, იგი ქართულ წიგნების ნაცვლად „ქართულის ასოებით რუსულად მოფიქრებულს გაზეთსა“ ჰბეჭდავს და, მეორე, რაც უმთავრესია, ერთად-ერთი „ამხანაგობაა“ ჩვენს ცოდვილს პლანეტაზედ, რომელსაც (ამხანაგობას და არა პლანეტას) ამხანაგებთან ანგარიშის გასწორება ისე სძულს, როგორც „ცოდვის ფურცელს“ „ჩიორა“, ხოლო უანგარიშობა-კი ისე უყვარს, როგორც „მესამე დასის“ პოეტს ევდოშვილს ქართულს სცენაზედ „სადებიუტოდ“ გამოსვლა.

ეს ექვსი-შვიდი წელიწადია ისე შევეჩვიენით ამ აზრს, რომ არც-კი გვიკვირს და არც-კი ვკითხულობთ ანგარიშს, თუმცა „ცოდვის ფურცელი“ ყოველ დღე გამობრძანდება ამ ამხანაგობის ადა ალ. ჯაბადარის სახელით.

თურმე ბათუმში ასეთნი მომთმენნი არა ყოფილან.

იმავე „ფურცლის“ წარსულ კვირის ნომერში ერთი ბათუმელი „შემწირველთაგანი“ სჩივის, რომ შარშან ბათუმში ფული შეგროვდა განსვენებულ რაფიელ ერისთავის სახელის ფონდის დასაარსებლად და დღესაც არ ვიცით, რა იქმნა ის ფულიო.

ახირებულია, სულ ერთს წელიწადსაც არ გაუვლია და „შემწირველთაგანი“ ანგარიშს თხოულობს!

კარგს იზამს, რომ ეს ვაჟბატონი ცოტაოდენს მოთმინებას ისწავლიდეს „გამომცემელ ამხანაგობის“ წევრთაგან!..

კარგი ის არის, რომ სწორედ იმ ნომერს, რომელშიაც ეს საჩივარია დაბეჭდილი, ხელს მისი „დრ. რედაქტორი“ ალ. ჯაბადარი აწერს...

დიდად სასიამოვნოა, რადგან სჩანს ბ-ნი ალ. ჯაბადარიც თანაუგრძნობს ანგარიშიანობას.

იქნება ეხლა მაინც ველირსნეთ ამ ალის „ამხანაგობის“ ანგარიშს?..

„იქნება“, იმედიც კაი საქონელია!

* *

იმედი იქნება კარგი საქონელი იყოს, მაგრამ თავის ქება-კი რომ ვერაფერი საქონელია, ამას იმ ქართულ ანდაზითაც დარწმუნდება ყველა, რომელიც გვამცნევს, რომ „თავის ქება კიტრად არა ჰღირსო“!..

ეს ანდაზა დაჰვიწყებია ჩვენს ძველს ნაცნობს, „არგონავთ“-ის ფურცლებზედ თავისუფლად მოთარეშე ბუმბერაზ ზოილს.

15 იანვრის „არგონავთ“-ში იგი შესჩივის თავისს მკითხველს:

„ნოვოე ობოზრენიეს“ ა.კ—ლი-ა „უ-ბაი-დოსსტ-კი (გაიგონეთ, გაიგონეთ!) მეძახისო. ეს ხომ იგივეა, „ზმირ-თმასნს ჰუმკენს რომ ვინმემ მელოტი უწოდოსო. ჰკითხავდა მაინც თავისს „პატრონებს“ (იგულისხმე ძმანი თუმანოვები) და ისინი ეტყოდნენ, რა ძლიერი ბიბლიოთეკა მაქვსო“.

უნებურად გვაგონდება ხალხური, —

„გონჯას გული სივდების
კვეხნითა, ქადილითაო“..

ჩიორა

დაბა და სოფელი

ქ. ოზურგეთი, 15 იანვარი, 1902 წ. თუმცა 13 იანვარს დანიშნული საგანგებო კრება გურიის ამხანაგობის „შუამავლისა“ არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო და გადაიდვა 20 იანვრისთვის, სამაგიეროდ დღევანდელ რიცხვს დანიშნული წლიური კრება ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრო ორმოცამდე წევრი, კანონიერად ჩაითვალა და დაიწყო დ. ცეცხლაძის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი საგნები: ა) განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა, ბ) არჩევა გამგეობის ერთისა და საბჭოს სამის წევრისა და გ) შუამდგომლობა გამგეობისა სახელმწიფო ბანკში კრედიტის მომატებაზე.

კრებამ 1901 წლის ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას საანგარიშო წლის განმავლობაში დაუტრიალებია სულ 38,384 მ. 73 კ., განიხილა და დაამტკიცა. წმინდა მოგება 925 მ. 48 კ. განაწილდა ასე: 115 მ. სათადარიგო თანხას მიემატა, 380 მან. დივიდენდად გადაიდო წევრთათვის დასარიგებლად, 277 მ. 65 კ. გამგეობის ჯამაგირად, 2 მ. 83 კ. კომიტეტის განყოფილებისათვის, 10 მ. ბიბლიოთეკას, 100 მ. გარდაცვალებულის წევრის სპირიდონ მენაბდის ობლების სასარგებლოდ, 40 მ. იმ ოთხის წევრის მისაცემად, რომლებიც მას ჟამსა შინა, როდესაც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის ბედ-იღბალი ოცდა-ხუთ გულშემატკივარის ხელში იყო და სხვა არ უნდოდათ მიეღოთ ამხანაგად და მით 1878 წლიდგან (ამ წელში ამხანაგობა დაარსებული) შეგროვილი სათადარიგო თანხა მოუთვისებიათ, იმათ რიცხვში ითვლებოდნენ ის ოთხნი. როდესაც შეეკითხნენ, რატომ უნდა მიეცეთ იმათ თითო თუმანიო, თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამის შესახებ დადგენილებაა, როცა იმ ოცდა-ხუთ კაცთაგან ვინმე გასვლას მოისურვებს, თითო თუმანი უნდა მივცეთ, ვინაიდგან იმათ 1878 წლიდგან შეგროვილი სათადარიგო თანხა არ მიითვისეს და კეთილ-ინებეს ახალ წევრთა მიღებაო. ჩვენ არა გვჯერა ასეთი დადგენილება იყოს და, თუ არის, ეხლანდელ კრებას უკანონოდ უნდა ჩაეთვალა, რომ ამის შესახებ თავმჯდომარემ მსჯელობა იქონია, რადგან თანახმად არსებულის წესდებისა, გასულულ წევრს, გარდა წლის ფულისა და საანგარიშო წლის დივიდენდისა, არაფერი გატანა არ შეუძლიან. სათადარიგო თანხის გატანა შეიძლება მხოლოდ ლიკვიდაციის შემდეგ და არა ყოველ დროს, როცა ამას რომელიმე წევრთაგანი მოისურვებს. ეხლა თუმცა ეს ორმოცი მანეთი სათადარიგო თანხას არ აკლდება, მაგრამ სამაგიეროდ წევრებს აკლდებიათ დივიდენდი და, ერთი მიბრძანეთ, რა დამნაშავეა ზავლე, რომ მაქსიმე ათის მანეთის ზედ მეტად მიღების ხალისით ამხანაგობიდგან გადის. ამგვარად ერთ მშვენიერ დღეს დანარჩენ 21 წევრსაც შეუძლიან გასვლა და, თუ გასვლისთვის ზრუნველ ათ-ათი მანეთი ვაძლიეთ, დანარჩენი წევრები სრულიად ცარიელები დარჩებიან.

გამგეობის წევრად ერთხმად არჩეულ იქმნა კანდიდ. შავიშვილი. საბჭოს წევრებად ერთხმადვე აირჩიეს: ბ-ნნი ვასილ ხუნდაძე, ექვთიმე შარაბიძე და ივლიანე სულუხია. გამგეობას დაევალა იშუამდგომლოს სახელმწიფო ბანკში კრედიტის მომატებაზე 3,000—7,000 მან.

1 იანვრისათვის 1902 წლისა ამხანაგობას ჰყავს 176 წევრი, აქვს წლიური ფული 7009 მ. 30 კ., შესანახად შემოტანილი ფული 882 მ. 75 კ., სესხი 3,000 მ., სათადარიგო თანხა 476 მ., გარდამავალი თანხა 478 მ. 33 კაპ., მოგება 1901 წლისა 925 მ. 48 კ. და სულ 12,771 მ. 86 კ.

დამსწრე.

ნარკვევი.

გაზეთი „Новости“ აღნიშნავს იმ წარმატებას, რომელსაც მიაღწიეს ქალებმა რუსეთში ამ ბოლოს დროს:

> ძნელია მოვძებნოთ საზოგადო ცხოვრებაში სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც ისე განვითარებული იყოს, როგორც ფემინიზმი (ქალთა საქმე). რუსეთშიაც-კი, სადაც ცხოვრება ეს 20 წელიწადია ერთსა და იმავე ალაგასა სდგას უმოძრაოდ და ზოგიერთს რამეში უკანაც-კი დაიწია, ქალი თან-და-თან წინ მიდის თავის უფლების გაფართოვებისა და ნივთიერ მდგომარეობის განკარგების საქმეში. დედათა უმაღლეს კურსების რიცხვმა იმატა; უმაღლეს სწავლა მიღებულს ქალს ადვილად აძლევენ მასწავლებლის ადგილს საშუალო სასწავლებლებში; ყველა უწყება, სასამართლოსი და საზღვაოც-კი, არ უარ-ჰყოფს ქალის შრომას. მარტო არყის მონოპოლიის შემოღებამ დიდად გაამრავლა სამსახურში შესულ ქალების რიცხვი. საფოსტო-სადეპეშო, სახელმწიფო კონტროლისა და გზათა უწყებაში ქალებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი.

კიდევ უფრო გაფართოვდა ქალის შრომის ასპარეზი კერძო სამსახურსა და მეცნიერება-ხელოვნებაში. დღეს ქალების არტელებიც-კი არსებობს.

> ქალებს რამე უპირატესობა-პრივილეგიის დაცვა-კი არ უნდათ. არა, ისინი სცდილობენ მხოლოდ მონაწილეობა ჰქონდეთ საზოგადო მუშაობაში, ეტანებიან ცოდნას, სინათლეს. უნდათ, რომ საკუთარის შრომით უზრუნველ-ყოფილ იქმნენ და მუდამ ქმრებსა და ნათესავებს არ შესცქეროდნენ თვალ-წარბში.

ავტორი დიდად თანაუგრძნობს ქალთა წარმატებას.

> არ შეგვიძლიან არ მივესალმოთ და არ თანაუგრძნოთ სულითა და გულით ქალების მხნეობას, მათის საზოგადოებრივისა და ქონებრივის მდგომარეობის განსაკარგებლად მიმართულს. ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესებიო“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედათა საქმეს ჩვენთვის. ქალების თვითცნობიერებას და თვითმოქმედებას აუცილებლად მოჰყვება შეგნებულ ადამიანთა გამრავლება და ეს ხომ ერის გაძლიერებაა. გვახსოვდეს, რომ ნახევარი ქართველობისა დედაკაცობაა.

რუსეთი

ოდესის წმ. ანდრიას ძმობა მოკლე დროში დაჰბეჭდავს კრებულს რჩეულ წერილებისას ლ. ტოლსტოის მოძღვრების წინააღმდეგ. კრებული დაიბეჭდება რამდენსამე ათას ცალად და მუქთად დაურიგდება ხალხს.

— კიევის ქალაქის საბჭოს 14 დეკემბრის სხდომაზე გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა შეცვლილ იქმნეს საქალაქო დებულების 181 §-ის მეორე მუხლი და ქალაქებს ნება მიეცეთ კვირა-უქმეებში ვაჭრობა სრულიად შესწყვიტონ.

— ახლო მომავალში ძირეულად შეცვლილი იქნება ჰელსინგფორსის პოლიციის ორგანიზაცია.

— უმაღლესმა მთავრობამ ორლოვის გუბერნიის მარშლად დაამტკიცა ცნობილი სტახოვიჩი. სტახოვიჩი თითქმის ერთხმად იქმნა არჩეულად წინამძღოლად.

უცხოეთი

ჩინეთი. საოცარი ამბავი ხდება ჩინეთში. თითქოს ევროპის ჯარის წასვლას ელოდნენო, ჩინელებმა ხელ-ახლა თავი მაღლა აიღეს და ხელ-ახლა შეუდგნენ მზადებას ქრისტიანეთა და ევროპიელთა ამოსაჟლეტად. აქა-იქ „დიდის მუშტის“ რაზმებმა უკვე დაიწყეს თურმე მოქმედება. ჯერჯერობით კანტი-კუნტად მოისმის ჩინელთა უკმაყოფილების ამბები. როგორც გაზეთებს ატყობინებენ, პეკინის მახლობლად, ნგოტინში, მოკრივეთა ახალი ორგანიზაცია შემდგარა. ეს ორგანიზაცია საუკეთესო თოფებით ყოფილა შეიარაღებული. მოკრივენი უკვე დასცემიან რუსთა სამღვდელოს. მთავრობის ჯარს ვერაფერი გაუწყვია. აი, ერთი ჩინური გაზეთი რასა სწერს: „დასავლეთ (პეკინიდგან) მთებში მოკრივენი ხელ-ახლა იკრიბებიან და ხელ-ახლა ისხავენ იარაღს. საფიქრებელია, რომ ეს მოკრივენი წინანდელზედ უფრო სასტიკად მოიქცევიან და უფრო მეტს განსაცდელში ჩააგდებენ ჩინეთს, რადგანაც სიძულვილი ქრისტიანეთა და ევროპიელთა მიმართ უფრო გაუცხოველდათ და გაუძლიერდათ. მოკრივეებმა დააქციეს რუსთა მისსია და დახოცეს ქრისტიანენი. თუ იან-შიკაისა და გენერალის მის ჯარმა ვერაფერი გაწყო იმათთან, მოკრივეთა აღკვეთა თითქმის შეუძლებელი შეიქმნება. საქმეს ისიც აფუჭებს, რომ მისიონერები უწინდებურად იქცევიან და არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ჩინელთა ხასიათს, იმათს ზნე-ჩვეულებას. ჩინელებს და მისიონერებს ერთმანეთისა არაფერი ესმით.

ოსმალეთი. მეტად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთს „მეშვერეტში“: „ორი საუკუნეა, რაც მოსკოვის მახვილი თავზედ დასტრიალებს ოსმალეთს. ამ ხნის განმავლობაში მოსკოვისაგან არა ერთი და ორი ჭრილობა ახსოვს ოსმალეთს. მოსკოვი მუდამ სცდილობდა ოსმალეთის თავის მოკვეთას, მაგრამ, თავის ნაცვლად, იმის პოლიტიკურ ორგანიზმს არღვევდა, თვითეულ ნაწილს აცლიდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ჰქმნიდა. საყურადღებოა ამ ხანგრძლივს ბრძოლაში ის, რომ სიტყვას „ინტერესს“ რუსეთი არასოდეს არა ხმარობდა, იგი არასოდეს არა სცდილობდა „სავაჭრო ინტერესების“ დაცვას. იმ დიდის სისხლის მოხეხით, რომელიც ჩვენა და მოსკოველებმა დავღვარეთ ევროპასა და მცირე აზიაში, ევროპიელებმა ფეხი მოიმაგრეს ბოსფორის ნაპირებსა და მთელს ოსმალეთში. ევროპიელებმა აგეს მონასტრები და სკოლები, გამართეს სავაჭრო ფაქტორიები, ქარხნები და ფოსტები, შეიძინეს მამულები, კონცესიები რკინის გზების გასაყვანად, გაავსეს ბაზრები თავიანთის ნაწარმოებით და სხვა. აბა ჩაუკვირდით ეხლა, ამ დიპლომატიურ ურთი-ერთობაში აქცევენ თუ არა რაიმე ყურადღებას კაცის უფლებებსა და თავისუფლებას, საზოგადოდ ყველა იმას, რაც მაღალი და ჰუმანიუ-

---

ბას და სხეულს სხვა-და-სხვა ფაქტორი განაგებს და ამოძრავებს. ამ ფაქტორთა შორის ხან ერთია უპირატესი და მბრძანებელი და ხან მეორე. ყოველივე დროთა ვითარებაზედ არის დამოკიდებული. მაგალითებრ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ საბერძნეთის სამღვდელოება გაბატონდა საქართველოში და დაისაკუთრა ჩვენი ეკკლესია. მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული ჩვენის ისტორიის და ცხოვრების მთავარ ფაქტორად საეკკლესიო საგანი შეიქმნა. საქართველო უმეტესად იმ ფიქრსა და ზრუნვაში იყო, რომ ეკკლესიის დამოუკიდებლობა მოეპოვა და ბოლოს თავისი კიდეც გაიტანა და ავტოკეფალია დაამყარა. არაბთა ბატონობამ საქართველო პოლიტიკურად დაამხო, ტახტი სრულიად დასცა, მეფობა მოსპო. ამის გამო პოლიტიკური ფაქტორი გარდაიქცა უპირატეს ფაქტორად. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხალხისთვის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა იყო საჭირო. ჩვენს სამშობლოს არაბნი მცირე ხარჯს აძლევინებდნენ და საქართველო ეკონომიურად გაჭირვებული არ ყოფილა. მძიმე ტვირთს მხოლოდ პოლიტიკური მონობა შეადგენდა და, რასაკვირველია, რომ პოლიტიკური ფაქტორი გაბატონდა. არაბთა ბატონობის დროსვე და იმ ბატონობის შემდეგ, ბიზანტიის გავლენის გამო, რელიგიური მიმართულება აღორძინდა და რელიგიურმა ფაქტორმა უპირატესი ადგილი დაიპყრა. გადაფურცლეთ ჩვენი მატიანე და დაინახავთ, რომ ხან ერთი ფაქტორია უპირატესი და ხან მეორე. ყველა ხალხის ცხოვრებაში ეგრეა. აიღეთ ევროპა. მხოლოდ ცალ-კერძო მოძღვრების პუბლიცისტი თუ ახირდება, რეფორმაციის დროს ეკონომიური პრინციპი მბრძანებლობდაო. რეფორმაციის შემდეგ ევროპაში კაროლის უფლება მეტად განდიდდა და ამ უფლებამ შთანთქა ერის თავისუფლება. ამიტომაც მაშინ პოლიტიკური ფაქტორი გაბატონდა. ერთის სიტყვით, მრავალი მაგალითი ცხად-ჰყოფს, რომ „არა ერთითა პურითა ცოცხალ არს კაცი“... მაგრამ „ახალ მოძღვრების“ ტალღებით გატაცებული ბ-ნი ჯორჯაძე მაინც თავისას არ იშლის და გაიძახის, ეკონომიური ფაქტორია ისტორიის ღერძი და მხოლოდ ამ ღერძის გარშემო ტრიალებს მთელი ცხოვრებაო. არა, ბატონო. ჩვენი შორეული წარსული თუ არ გეჭაშნიკებათ, აიღეთ ევროპის ახალი დრო. მაგალითებრ, მოიგონეთ იტალიის აღდგენის ისტორია, გერმანიის პოლიტიკური გაძლიერება და სხვა ამ გვარი ამბავი და დარწმუნდებით, რომ თითოეულს კულტურულს ერს ბევრჯელ სხვა რამე უფრო მეტად ადარდებს და ანაღვლიანებს, ვიდრე თქვენი „ეკონომიური უთანასწორობა“. დამონავების უმთავრესი მიზეზი „ეკონომიური უთანასწორობააო“... სრულიადაც არა. მონობა მრავალგვარია—რელიგიური, ზნეობრივი, გონებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური, და თითოეულს ასეთს მონობას თავისი მიზეზი აქვს. ხალხისთვის ყოველგვარი მონობა მძიმე უღელს შეადგენს. უბადრუკი და წყალ-წაღებული იქმნებოდა ის ერი, რომელიც მარტო „ეკონომიურს უთანასწორობას“, ეკონომიურს მონობას ჩასთვლიდა მძიმე უღლად და სხვა უღელს არხეინად ატარებდა! დიაღ, „არა ერთითა პურითა ცოცხალ არს კაცი“...

ჩვენებური კლასებრივი ანუ დასებრივი მოძღვრება თავად-აზნაურობას მეჭეჭად სთვლის და კაცად მხოლოდ გლეხსა და მუშას აღიარებს. „ივერია“ ამ ცალ-კერძო მოძღვრებას წინააღუდგა და თავისს მცნებად ეროვნული ერთობა აღიარა, ყველა ქართველი, წოდების განურჩევლად, ადამიანად იწამა და დაასკვნა, რომ ერი რთული ორგანებრივი სხეულია და ამ სხეულის თითოეულს ნაწილს, ასოს თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვსო. ერთი სიტყვით, ჩვენმა გაზეთმა საეკონომიო მატერიალიზმს დაუპირდაპირა ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი ორგანებრივი თეორია.

ვისაც ცოტად თუ ბევრად შეუსწავლია ისტორია საპოლიტიკო მოძღვრებათა (**исторія политическихъ ученій**), ეცოდინება, რომ საპოლიტიკო მეცნიერებაში ორგვარი ორგანებრივი თეორია არსებობს—ერთია ორგანებრივი თეორია სახელმწიფოსი (**органическая теорія государства**), მეორე—ორგანებრივი თეორია საზოგადოებისა (**органическая теорія общества**). პირველი საბერძნეთის ფილოსოფიიდგან მომდინარეობს. პლატონი და არისტოტელი აღიარებდნენ ამ თეორიას, სახელმწიფოს ადარებდნენ კაცის სხეულსა. ამ მოძღვრებას მნიშვნელობა შემდეგაც არ დაუკარგავს და წარსულ საუკუნეში ასეთი დიდებული მოციქული ჰყავდა, როგორიც შელლინგი იყო. სახელოვანი მეცნიერი ბლუნჩლი და ზოგი სხვაც ხომ ამ თეორიას მისდევენ. უმთავრესი ნაკლი ამ თეორიისა მისი მეტაფიზიკური ხასიათია,—იგი სიანალოგიას და შედარებას უნიადაგოდ და უალაგოდ ჰხმარობს, კაცსა და სახელმწიფოს შორის უსაფუძვლოდ თითქმის სრულს მზგავსებას ჰპოვებს. ბლუნჩლის აზრით, საერო განათლება კაცის ხედვას უდრის, სისხლის სამართალი კაცის ქიპსა და სხვა ამ გვარი. თეორიას ჰგონია, სახელმწიფო სწორედ ისეთივე ორგანოა, როგორიც კერძო კაციო.

სხვა მეთოდსა და გზას ადგია ორგანებრივი თეორია საზოგადოებისა. ეს თეორია, კაცის მაგიერ, საზოგადოებას იღებს და დაასკვნის, საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის ანალოგია სუფევს, ორივენი ერთსა და იმავე ზრდისა და განვითარების კანონს ექვემდებარებიან; თუმცა ერთმანეთისაგანაც განირჩევიან და ერთის საგნის ანუ არსების განსხვავებულ სახეს წარმოადგენენო. პირველად ეს თეორია დააფუძნა ოგიუსტ კონტმა, ცნობილმა პოზიტივისტმა, რომელმაც, თუ სრულიად არ შემუსრა, ძრიელ მაინც შელახა მეტაფიზიკა. შემდეგ ამ თეორიას ხელი მოჰკიდა ჰერბერტ სპენსერმა და სოციოლოგიურის ფაქტებით დაასაბუთა იგი, მეცნიერულ ნიადაგზედ დაამყარა. ბიოლოგიის აღორძინებამ დიდი სამსახური გაუწია ორგანებრივს თეორიას და მეცნიერებაში პატივი და ადგილი მოუპოვა. კონტისა და სპენსერის სოციოლოგიურს თეორიას არავითარი საერთო არა აქვს-რა მეტაფიზიკასთან, იგი მეცნიერული მოძღვრებაა და მხოლოდ „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტს დაჰვიწყებია ეს საანბანო ჭეშმარიტება და ამბობს—„ორგანებრივი თეორია სოციოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია უარყოფილია და დარღვეული, რადგან აშენებულია წმინდა მეტაფიზიკურ, არა რეალურ დებულებაზედ“. ოგიუსტ კონტი და მეტაფიზიკა... სპენსერის ბიოლოგიური და სოციოლოგიური მოძღვრება და არა რეალური დებულება... ეს ხომ გაუგებრობაა, ეს ხომ ზანგი ხახოსებური სიტყვების უაზრო ტკაცა-ტკუცია და სხვა არაფერი! ცხადია, პუბლიცისტს არ ესმის, რა განსხვავებაა იმ ორ ორგანებრივს თეორიის შორის, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ. მეტაფიზიკური პირველი თეორიაა და არა მეორე. მაგრამ ვინ იცის, იქმნება „ცნობის ფურცლის“ მეცნიერს კონტი და სპენსერი მეტაფიზიკებად მიაჩნია!? „ორგანებრივი თეორია სოციოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია უარ-ყოფილია და დარღვეულიო“... არა, ახლაც ამ თეორიას ბევრი სახელოვანი მოციქული ჰყავს, ახლაც იგი საუკეთესო თეორიად ითვლება და სოციოლოგიაში პირველი ადგილი უჭირავს. იგი ახლაც ღირსეულად მხარში უდგია დარვინიზმს მართალია, კრიტიკას არც ეს თეორია ასცდა (რუსეთში პუბლიცისტი მიხაილოვსკი, მეცნიერი კარეევი), მაგრამ უარ-ყოფასა და დარღვევამდე ჯერ შორს, ძრიელ შორს არის, თუ მეტადრე ზანგმა ხიხომ შებრალება იქონია და ერთის კალმის მოსმით არ შემუსრა ეს „დახავსებული და გადაბირებული“ მოძღვრება!.. კრიტიკას თვით დარვინის თეორიაც ვერ გადურჩა, ამ თეორიას ახლაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ განა ამიტომ შეიძლება ითქვას, „დარვინიზმი დიდი ხანია უარყოფილი, დარღვეულიაო“?

მოჰყოლია არჩილ ჯორჯაძე და უწყალოდ პენტავს საბრალო „მეტაფიზიკს“ სპენსერს—საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის მზგავსება მხოლოდ „გარეგნობითი ნიშნებით“ განიმარტებაო. მერე ჩვენ როდის ვამბობდით, რომ ერი ისეთივე ნამდვილი ორგანებრივი სხეულია, როგორიც ცალკე კაციო. ამას არც ორგანებრივი თეორია დასძენს. მთავარი აზრი ამ თეორიისა ისაა, რომ საზოგადოებისა და ორგანიზმის შორის ანალოგია სუფევს და ზრდისა და განვითარების კანონი ორივესათვის ანალოგიურია. ამ მთავარმა აზრმა დიდი სამსახური გაუწია სოციოლოგიას და ისეთივე პატივი დაიმსახურა, როგორიც დარვინიზმმა. ყველა ამას „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტი, ალბად უცოდინარობის გამო, ყურადღებას არ აქცევს და „მეტაფიზიკურ მცნებად“ აღიარებს ბიოლოგიაში დამყარებულს იმ აზრს, რომ ორგანიზმი თავისებური საზოგადოებაა...

ახალგაზრდა პუბლიცისტს არ მოსწონს „ივერია“, რომელიც ამბობს—„ჩვენი მოძღვრება და პროგრამა ის არის და იქმნება კიდეც, რომ მთელის ერისათვის ვიზრუნოთ და ვილაწოთო“... ეს რეაქციონერების საქმეა და ჩვენ „მხარს ვაძლევთ მეტად გაჭირვებულ უმრავლესობას“... მაგრამ ამაზედ მერე იყვეს.

Plebs.

რაი?—არავითარს. ყოველს სიტყვას, ყოველს მოქმედებასა და მიწერ-მოწერას სარჩულად „ინტერესი" უდევს. არც გასაკვირველია! ევროპაში მორალი იმ ზომამდე დაეცა, რომ მთელი ნახევარი საუკუნეა ევროპის პარლამენტებსა, მიტინგებსა და მწერლობაში მიწასთან ასწორებენ ოსმალეთის სულთანს, აგინებენ, ცუდის სიტყვებით იხსენიებენ იმის ბარბაროსობას, სამარცხვინოდ სთვლიან იმასთან საქმის დაჭერას, მაგრამ ამავე დროს დღე-დამ სცდილობენ ოსმალეთთან სავაჭრო-სამრეწველო საქმების მოწყობას და ტაში-ცემით ეგებებიან ყოველს კონცესიას, ქარხნის დაარსებას და სხვა რამეს, ევროპიელთა მიერ ოსმალეთში მოწყობილს. სულთანმა, რომელმაც, კარგად გაიცნო-რა ევროპიელთა სისტემა „ცივილიზაციის" გავრცელებისა, არავითარს ყურადღებას არ აქცევს იმ აურ-ზაურს, რომელიც დრო-გამოშვებით ატყდება ხოლმე იმის წინააღმდეგ ევროპაში. ეს აურ-ზაური სულთანს მშიერ ტურების ჩხავილად მიაჩნია. ათასში ერთხელ ლუკმას გადაუგდებს და ჩააჩუმებს ხოლმე მჩხავანა ტურებს. ყველა ამის შემდეგ განა საქებური და მოსაწონია სომეხთა და სლავიანთა, უკეთ რომ ვსთქვათ—იმათ წინამძღოლთა საქციელი, იმ სომხეთა და სლავიანთა, რომელთაც ევროპას, ამ გაუმაძღარს სვავს, მიჰმართეს და შველა-დახმარება სთხოვეს ოსმალეთის ძალმომრეობის საქმეში? ამ წინამძღოლებმა თავიანთი თავი ბისმარკებად და კავურებად ჩასთვალეს, ხოლო უმწეო, ჩაგრული ხალხი ჰერკულესებად და საბრძოლველად გამოიწვიეს... „წითელი სულთანი" კაცობრიობის მტერი და ოტტომანთა ისტორიის შემწიკვლელი, აბდულ-ჰამიდი ამას ელოდა მხოლოდ. თვალის დახამხამებაზედ მტარვალმა უთვალავი ხალხი სიცოცხლეს გამოასალმა და სომეხ-სლავიანთა სისხლით მინდორ-ველნი მორწყო. „მოღვაწენი" და წინამძღოლნი ეხლაც განცხრომით სცხოვრობენ პარიჟშია და ლონდონში.

ვინ ამოიღებს ეხლა ამ დასჭილთა სისხლს? ვინ გამოვა და ვინ მოითხოვს რეფორმებს სომხეთსა და მაკედონიაში? ნუ-თუ ანგარებით გატაცებული ევროპა? ან იქნებ ქრისტიანთა ღმერთა გადმოხედოს იმ საწყალ და საცოდავ მსხვერპლებს, რომელნიც ყოველდღე ცრემლით შესტირიან?

„ამ ყოფაში ჩაცვივდნენ ოსმალეთში მცხოვრებნი ქრისტიანენი, თავის თავსა და ევროპაზედ დანდობილნი. დრო არ არის, განა, გონს მოვიდნენ ჩაგრულნი, ხელი გაუწოდონ თავიანთ ძმებს—ახალგაზრდა ოსმალებს და იმათთან ერთად შეუდგნენ „წითელის სულთანის" და იმის უსამართლოებათა შემუსვრას. ევროპამ-კი არა, ჩვენ, ახალგაზრდა ოსმალებმა, და თქვენ, ჩაგრულმა ქრისტიანებმა, უნდა უშველოთ ოსმალეთს და დავიხსნათ იგი საერთო ძალით მტარვალთა ხელიდგან.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ქართულ დრამატიულ საზოგადოების ეხლანდელ გამგეობას, რომელმაც, მიუხედავად თავისის გაჭირვებულ მდგომარეობისა, ჩემს შევიწროებას ავადმყოფ მსახიობისას ყურადღება მიაქცია და ბენეფისი შედავათიანის პირობებით მომცა, რითაც მე რამდენისამე ხნით ნივთიერად უზრუნველ-მყო.

მარიამ საფაროვ-აბაშიძის.

დეპეშა

18 იანვარი

ბერლინი. 17 იანვარს იმპერატორთან ვახშმად მიწვეულნი იყვნენ: ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი, რუსეთის ელჩი, რუსეთის სამხედრო და საზღვაო ატაშენი, იმპერიის კანცლერი და იმპერატორის ალექსანდრე III-ს გვარდიისა და რუსეთის იმპერატრიცის დრაგუნის რაზმთა უფროსები.

სარატოვი. ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა მიემხროს იმ დღესასწაულს, რომელიც გადახდილი იქნება გოგოლისა, დობროლიუბოვისა და ჟუკოვსკის სახსოვრად.

პრეტორია. პოლკოვნიკის ვილსონის რაზმს, რომელიც 400 კაცისაგან შესდგებოდა, ცოტას გაწყდა, ბურების რაზმმა, რიცხვით ინგლისელებზედ მეტმა, გზა არ შეუკრა მდინარე ვიგისაკენ. როცა იქ ინგლისის რაზმი მივიდა, 200 კაცი ფონით გაგზავნილ იქმნა მტრის დარაჯთა სადევნელად. გათენებისას რამდენიმე ბური ტყვეთ იქმნა წაყვანილი, მაგრამ ცხრაას კაცამდე ბურების რაზმი ინგლისის მოწინავე რაზმს მოულოდნელად გარს შემოერტყა ყოველის მხრივ; მოწინავე რაზმმა მოახერხა ფონისაკენ გზის გაკვლევა და ის იყო, როცა მდინარეზედ გადასვლას აპირებდა, ბურებმა იგი ფონს მოაშორეს და მოწინავე რაზმი იძულებული გახდა მხოლოდ იერიშის მიტანით შეერთებოდა უმთავრესს რაზმს. ამის შემდეგ მთელი რაზმი მტრის მოგერებით და უკან დაწევით სერიდგან სერზედ გადადიოდა, ვიდრე ფრანკფორტამდე მიაღწევდა.

ლონდონი. „დაილი ტელეგრაფი" ამბობს, რომ ლანსდოუნმა ისეთი პასუხი მისცა ნიდერლანდის მთავრობას, რომელსაც თავაზიან განმარტების ხასიათი აქვსო. რადგანაც ამ მთავრობას მინდობილი არა აქვს ბურების სახელით ილაპარაკოს და მისს წერილში არავითარი გარკვეული წინადადება არა არის-რა, ამიტომ მისი წერილი ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებულიო.

ლონდონი. როგორც შანხაიდგან „Times"-ს ატყობინებენ, საბანკო კომისიის (?)ოტაის გამოუცხადებია, რომ 18-ს შეტანილი იქმნება ყოველ-თვიური გადასახადი იმ სამხედრო საზღაურსა, რომელიც ჩინეთმა უნდა გაიღოს.

კიევი. კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის ასაგებად მიღებულ იქმნა 979,474 მანეთი.

ვარშავა. შუამდგომლობაა აღძრული ტყის მოვლა-მოშენების სკოლის დაარსების შესახებ.

თუმცა პრუსიის წინააღმდეგ დიდი აგიტაციაა პოლონეთში, მაინც გერმანულს გაზეთს იმდენსავე იწერენ, რამდენსაც წინად იწერდნენ.

19 იანვარი.

კოპენჰაგენი. დინცერმა ფოლკსტინგში წინადადება შეიტანა საერთო დაცვის კომისიის დაარსების შესახებ. წინადადებას აზრადა აქვს ქვეყნის მტრისაგან დაფარვა უზრუნველ-ჰყოს.

ლონდონი. ნიდერლანდიის ნოტას საპასუხო პროექტი მოწონებულ იქმნა კაბინეტის წევრთაგან შემდგარ კომისიის-მიერ;

პირი ამ პროექტისა გაეგზავნა ინგლისის ელჩს გააგაში. ნოტა ფორმალურად დამტკიცებულია მინისტრთა საბჭოში.

სოფია. მინისტრად ნამყოფი ბელინოვი გარდაიცვალა.

მოსკოვი. მოქმედებას იწყებს გასათხოვართა საურთიერთო დამხმარებელი კასსა. მცირეოდენ წვლილის შეტანით ემაწვილ ქალებს უზრუნველ-ყოფილი ექმნებათ მზითევი 200 მანეთიდგან 3,000 მანეთამდე.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბოგოროდსკის ფერმაში არსდება ქალებისათვის სასოფლო-სამეურნეო კურსები.

ლოძი. ვავრჟინეც-კუჩინსკის, რომელსაც ბრალად ედებოდა საკუთარის სახლის დაწვა, სასამართლომ გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა ოთხის წლის ვადით.

„ივერიის" ფოსტა

დ. ცხინვალი, ქვემო-ნიქოზის მღვდელს დავით კაპანაძეს: გაზეთი იგზავნება თქვენის ადრესისამებრ. ზედ აწერია 6 მ., რაიცა ჰნიშნავს ექვს თვეს.

ქუთაისი, რ. ფ—ს: თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება. ყოვლად უმნიშვნელო წერილია. მგოსნის გულთ-მისნობის შესახებ ამბავი ხომ მეტის-მეტია.

დ. ონი, ქ. გ—ს: თქვენი წერილი «მომაკვდავი წოდება» არ დაიბეჭდება. იმედია, არ დაგვემდურებით.

პეტერბურგის ბირჟა, 18 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,63—94,70
არიჟში „	
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96\,^1/_8$ გაყიდ.
$4\,^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა. . . .	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$468\,^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	367 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$269\,^1/_2$ მყიდ.
$3\,^1/_2$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	
$4\,^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	$88\,^7/_8$ გაყიდ
$4\,^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82\,^3/_4$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	
„ კასპიის ამხანაგობისა .	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	3575 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	328 წვრ. გაყიდ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

განცხადება
გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა
„შუქი"
აუწყებს ბბ-თ პაის პატრონებს, რომ კვირას, ამ იანვრის 20-ს, დილის 10 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია
საგანგებო საზოგადო კრება
განსახილველი საგნები:
1) მოკლე ანგარიში 1901 წლისა.
2) მოხსენება ვადა-გასულ პაიების შესახებ.
ამასთანავე ვაცხადებთ, რომ გამგეობამ გადასწყვიტა მეოთხედ შემოტანა 5%-იანის შემოსატანისა, ესე იგი 5 მანათისა თითოეულს პაიზედ დანიშნულია 21 იანვრიდგან 26 იანვრამდე.
ფულის შემოტანის დროს ვთხოვთ წარმოადგინონ ხოლმე პაის კვიტანციები.
2—2.

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.
იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 17. (წლ.)

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА
„ВОСТОКЪ" въ Баку
Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.
(10—261—10)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.
პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
გ. მ. მირიმანიანისა.
Музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
25—6—20

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი
„კვალი"
(წელიწადი მეათე)
გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.
წლის განმავლობაში „კვალში" დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.
გაზეთი წლიურათ ღირს ტფილისში 7 მან., ტფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით ტფილისში 3 მ. 50 კ., ტფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.
ხელის მომწერლებს შეუძლიანთ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ.
ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ეკ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.
ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან. საჩხერეში—დიმიტრი მელაძესთან.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

САРАТОВСКІЯ САРПИНКИ
НА ЛѢТО 1902 ГОДА
Легкая, изящная ткань для платьевъ и бѣлья
265 образцовъ въ альбомѣ
ВЫСЫЛАЮТСЯ БЕЗПЛАТНО
Торговый домъ
АНДРЕЙ БЕНДЕРЪ И СЫНОВЬЯ
Москва, Ильинка.
Продажа оптомъ и въ розницу.
4378 (3—2).

Открыта подписка на 1902 г. (XIV г. изданія)
на большую ежедневную политическую, общественную и литературную газету, издаваемую без предварительной цензуры, съ еженедѣльными иллюстрированными добавленіями,
„Русскій Листокъ"
(XIV ГОДЪ ИЗДАНІЯ).
Газета принадлежитъ къ числу наиболѣе распространенныхъ ежедневныхъ изданій благодаря своему чисто русскому направленію, безусловной свѣжести и новизнѣ помѣщаемыхъ сообщеній и всего матеріала, а также благодаря живости, краткости и ясности печатаемыхъ въ ней статей извѣстныхъ журналистовъ. Ввѣ административныя новости (сообщаемыя по телефону изъ Петербурга и по телеграфу изъ другихъ мѣстъ) появляются въ „РУССКОМЪ ЛИСТКѢ" не только одновременно съ петербургскими газетами, но даже часто и раньше послѣднихъ.
Свои корреспонденты имѣются во многихъ городахъ Россіи и за границей—въ Парижѣ, Лондонѣ, Берлинѣ, Вѣнѣ, Софіи, Римѣ, Женевѣ и др., а въ случаяхъ особой важности командируются спеціальные корреспонденты. (Въ истекшемъ году было послав 6 кор.—въ Данцигъ, Реймсъ и Дюнкирхенъ на торжества, въ Брюссель—на конгрессъ въ Боснію и Герцеговину—во время смутъ.)
Обширность программы „РУССКАГО ЛИСТКА" даетъ возможность предложить читателямъ большое обиліе самаго разнообразнаго матеріала. Ежедневно въ фельетонахъ помѣщаются лучшіе романы, повѣсти, историческія и научныя статьи.
ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ДОБАВЛЕНІЯ извѣстныя по своей художественности, въ 1902 г., какъ было и въ истекшемъ 1901 г. будутъ выходить ЕЖЕНЕДЕЛЬНО и за годъ составятъ объемистый томъ съ массою рисунковъ, портретовъ, модъ и т. п. Всѣ бол крупныя событія дня иллюстрируются фотографическими снимками нашего фотографа.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
съ доставкой и пересылкой:

на годъ	8 р.	на 3 мѣс	2 р. 50
„ 6 мѣс.	4 „ 50 к.	« 2 «	1 » 70
„ 4 „	3 „ 30 ›	» 1 »	—› 9

При годовой подпискѣ допускается разсрочка: при подпискѣ—5 р. и къ 1 іюля—3 р. или при подпискѣ 3 р., къ 1 апрѣля—3 р. и 1 іюля—2 р. Кромѣ того, допускается особая разсрочка по 1 руб. въ мѣсяцъ—въ тече 8 мѣсяцевъ, считая съ января.
Адресъ главной конторы: Москва, Мясницкая, д. № 20
Свои отдѣленія—въ Москвѣ, Петербургѣ, Тулѣ, Калугѣ и Рязани.
Редакторъ-издатель Н. Л. Казецкій.
3—2

Дозвол. цензурою. Тифлисъ 19-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისისფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ჯავახაძე